პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 22 ივლისი № 170 (16600) ფასი 2 კაპ. 1976

სიტყვები, რომლებიც გვრაზმავენ

ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, ხელს უწყობენ პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების, არსებითად გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის-იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგია. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე ბრძოლა გაუშალა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების მკაცრად დაცვისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
1976 წლის 22 ივნისის დადგენილებიდან

შემოქმედებითი პარტიული მუშაობისათვის

ჩვენი სამშობლოს ყოველი დღე დიდი საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებით ივსება, მდიდრდება და ლაღდება, საბჭოთა საქართველოში ახლა განსაკუთრებული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, ნამდვილი შემოქმედებითი წვა და ძიებაა, რომ პარტიის ბრძნული შთანაფიქრი, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები პრაქტიკულ რეალობად იქცეს, დროზე შეიხსას ხორცი.

რესპუბლიკის მშრომელებს, კომუნისტებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს თავიანთი ძალების რწმენის უძლიერებს, ენერგიას მატებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში შესანიშნავად არის შეფასებული და მოცემული ხასიხარულო შედეგები, როგორც საქართველოს ეკონომიკის კონკრეტულ დარგებში, ისე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე.

ჩვენ მისაღწევი და გასაკეთებელი კვლავ ბევრი გვაქვს, ამოცანები უფრო დიდი, მასშტაბური. სწორედ ამიტომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახალ დადგენილებაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების, ყველა მშრომელის ხადღეისო საბრძოლო ამოცანებს რომ აკონკრეტებს, მოგვიწოდებს: საჭიროა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის სტილისა და მეთოდების ხრულყოფა.

როცა მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილის დამკვიდრებაზე ვლაპარაკობთ, ეს ნიშნავს — მთელ ჩვენს საქმიანობას ღრმა მეცნიერულ საფუძველზე ვაგებდეთ, მჭიდროდ ვუკავშირებდეთ ერომანეთს თეორიასა და პრაქტიკას.

დღეს კმაყოფილებით ვამბობთ, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში თვალნათლივ გამოჩნდა, გამოიკვეთა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური სიმწიფე და ორგანიზატორული ხელოვნება, მებრძოლურობა და კომპეტენტურობა.

ეს რატომ არის, რომ მთელ რიგ საქალაქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, როგორც იტყვიან, დუღს შუშაობა, პარტიულ ცხოვრებაში გზას იკაფავს ინიციატივა, ეშმარიტი შემოქმედება.

დიდად საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს უკანასკნელ წლებში პარტიის თბილისის რაიკომებმა, ქალაქის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ეს ეხება წარმოებაზე პარტიული გავლენის გაძლიერებას, კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკას, პარტიული ინფორმაციის მაღალ დონეზე დაყენებას და ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური მუშაობის სხვა მრავალ საკითხს.

პარტიული მოლვაწეობის ბევრ კარგ ფორმასთან ერთად შეტად საყურადღებოა თვალსაჩინო აგიტაციის ახალი ქმედითი ფორმები, რომლებსაც თბილისის დამატრიოტის სახელობის საავიაციო ქარხნისა და სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პარტიული ორგანიზაციები იყენებენ.

ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდილებაა პარტიის ჭუთაისის საქალაქო კომიტეტის პრაქტიკა შეხვედრების შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაციის თვალსაზრისით. თავისი პლენუმებისა და ბიუროს დადგენილებათა შესრულებაში საქალაქო კომიტეტს ეფექტიანად ეხმარება ორგტექნიკის მდიდარი საშუალებები. სახარგებლო საქმიანობას ეწევიან ქალაქის მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი მეთოდკაბინეტები.

ფრიად საყურადღებოა აბაშის, გურჯაანის, ხიღნაღის, ახალქალაქის და ბევრი სხვა რაიონის პარტიულ ორგანიზაციათა გამოცდილება ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით კონკრეტული ღონისძიებები ხორციელდება შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის გაუმჯობესებისათვის.

ბევრ პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილია და ნაყოფიერად მოქმედებს საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა ინსტიტუტი, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე კომისიები, განყოფილებები, სექტორები, ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური მუშაობის კაბინეტები... შეუძლებელია მარტო ჩამოთვლაც კი ყველა იმ საინტერესო ფორმებისა, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად იბადება და კეთილი საქმეებით გზას მიიკვლევს ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ცხოვრებაში.

და რაოდენ დიდი იქნება ჩვენი საერთო წარმატებები ეკონომიკისა და კულტურის ყველა უბანზე, თუ კი ამ და სხვა სასარგებლო ხიასლეებს ფართოდ დავნერგავთ, პარტიული მუშაობის მდიდარ არსენალს უნარიანად გამოვიყენებთ.

მაგრამ, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ყველა კეთილ ინიციატივს, ყველა სასარგებლო ფორმას დროზე არ ეძლევა ცხოვრების ხაგზური, ძალიან ნელა, ზოზინით, გაუბედავად ინერგება სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

დადებითი გამოცდილება ისეთი განძი როდია, რომ ზანდუკში ჩაიკეტოს. იგი სწორედ იმით ფასობს და დიდ მნიშვნელობას იძენს, როცა სხვაგანაც დაიმკვიდრებს ბინას, როცა ყველას განძი, ყველას კუთვნილება ხდება.

რა თქმა უნდა, ყოველივეს, რაც კი ახალი გამოჩნდება, ორივე ხელით როდი უნდა ჩავეჭიდოთ. სახარგებლოსა და ეფექტიანს მუდამ უნდა განვასხვავებდეთ რაღაც გამონაგონისაგან. მაგრამ არასოდეს არ უნდა დავიკიწყოთ ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენი პარტია შემოქმედთა, ნოვატორთა პარტიაა და ვერასოდეს შეუერიგდება ინერტულობას, სიზანტეს, ხაქმისადმი კონსერვატიულ დამოკიდებულებას.

პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის რესპუბლიკური უურნალ-გაზეთების, საოფლო, საქალაქო, რაიონული გაზეთების, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაობა. სამწუხაროდ, ჩვენი გამომცემლობებიც ბევრს სცოდავენ, რადგან დღემდე საქართველოს პარტიული ორგანიზაციების უკანასკნელი წლების მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ერთი ხელიარანი წიგნიც კი არ გამოცემულა.

პარტიული მუშაობის გაუმჯობესებასა და უფრო გააქტიურებაზე რომ ვლაპარაკობთ, ერთი წუთითაც არ უნდა დავიწყოთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლი, რომელიც პარტიულ მუშაობაში დღემდე შემორჩენილი ფორმალიზმისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის უბადლო საშუალებაა. ფაქტები მეტყველებს, რომ ზოგი პარტიული კომიტეტი ღრმად ვერ სწვდება პირველი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, საჭირო დახმარებასა და ხელმძღვანელობას არ უწევს მათ. როგორც ეს ამას წინათ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, პირველი მაისის რაიონში ჯერ კიდევ ბევრია სუსტად მომუშავე პირველადი პარტიული ორგანიზაცია. სწორედ იმის გამო, რომ დაგეგმვა ზუსტი არ იყო და განსახილველი საკითხებიც თანაბარზომიერად არ ნაწილდებოდა, ორი უკანასკნელი წლის მანძილზე სულაც არ ყოფილა შესწავლილი და განხილული რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა საერთო რიცხვის (აქ კი სულ 815-ია) 35 პროცენტის საქმიანობა.

ნამდვილი პარტიული, ლენინური სტილის დამკვიდრება კი ნიშნავს, რომ პარტიული კომიტეტის ზრუნვა, ყურადღება და დახმარება თვითეულ პირველადს და საამქრო პარტორგანიზაციას, თვითეულ პარტიულ ჯგუფს მისწვდეს.

დღეს „კომუნისტის“ მეორე გვერდზე ქვეყნდება რედაქციაში პარტიულ მუშაკთა ერთი ჯგუფის შეხვედრის მასალები, რომლებშიც გამოთქმულია მოსაზრებები პარტიული მუშაობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე, წამოყენებულია წინადადებები ამ მხრივ დადებითი გამოცდილების ფართო გაზზოგადების თაობაზე.

დიახ, გავაჩაღოთ მხოლოდ შემოქმედებითი, მჩქეფარე, სიხხლსავსე პარტიული მუშაობა! — ასეთია ამოცანა.

ყოველი დღე, საათი კვირფასია!

ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულება — საწარმოებში საომრეწველო პროდუქციის გამოშვების გაძიდება, მაღალი ხარისხისა და რენტაბელობისათვის ბრძოლა, შრომის ნაყოფიერების გაძიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მოსავლის უდანაკარგოდ აღება, დაბინავება, მარცვლეულის სახელმწიფოსათვის დროზე მიყიდვა, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა—სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების საუკეთესო პასუხია.

კომბაინერთა შეჯიბრება

20 ივლისი...

თეთრი წყაროს

გურამ ახვერდოვმა ბორბალოს საბჭოთა მეურნეობაში 7 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ასმეტა

ნოდარ წეწიკიძემ 8 ჰექტარის ნაცვლად 9 ჰექტარი პურეული მოიკა და ჰექტარზე საშუალოდ 34,4 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ამირან რამაზაშვილმა ზემო ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 8 ჰექტარი მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 31 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მცხეთა

ფრიდონ პავლიაშვილმა ძალისის საბჭოთა მეურნეობაში 5 სამუშაო დღეში 40 ჰექტარის ნაცვლად 50 ჰექტარი პურეული მოიკა და ჰექტარზე 29 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

იური პოლიანსკიმ დიმის საბჭოთა მეურნეობაში 5 სამუშაო დღეში 47 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო 40 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 24,6 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ინიციატორთა მაგალითით

ᲭᲘᲗᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის (დირექტორი პ. მეტონიძე) კოლექტივმა წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით 44 ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია გაასაღა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე საერთო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო დავალება.

გელათელები ენთუზიაზმით გაშოეხმაურნენ რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაობნობას და ახალი ძალით გაშალეს ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყველგან და ყველაფერში მტკიცე წესრიგის დამყარებისათვის, წლის გეგმისა და ვალდებულების ვადამდე განაღდებისათვის.

ეს სიახლეა — დავნერგოთ!

საათიანი აგრეგატი — დამრეცი ფერდობზე

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ. (ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორ.). საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და მექანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი ზ. ხანთაძე) რეკომენდაციით „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის გაერთიანების ინჟინერ-მექანიზატორებმა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტებთან ერთად „ტ-25“ საერთო დანიშნულების თვლიანი ტრაქტორის მოდიფიკაცია მოახდინეს, რომელსაც დამრეც ფერდობებზე და მთიან ადგილებში ბალახის გასათიბად გამოიყენებენ. ამ ტრაქტორს მოიმზღული აქვს „კსგ-2,1“ მარკის სათიბი.

გუშინ ამ აგრეგატის პრაქტიკული გამოცდა მოეწყო ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უკანა მზარის მთაგორიან მინდვრებში. გამოცდაში მონაწილეობდნენ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, ინჟინერ-მექანიკოსები, მექანიზატორები. მათ ერთხმად მოიწონეს აგრეგატის შუშაობა. გამოცდის დროს ამ მანქანით ყველაზე დამრეც ფერდობზე 2 საათში 3 ჰექტარი ბალახი გაითიბა.

„საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონული გაერთიანების სახელოსნო შეუდგა კოლმეურნეობების შეკვეთების მიღებას. ამ მარკის ტრაქტორების მოდიფიკაციას არცთუ ისე დიდი დრო უნდა.

აგრეგატის გამოცდამ, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ქარუმიძე, შშრომელთა დეპუტატების სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. გოგინაშვილი და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ჟ. მახაშვილი, კარგად ჩაიარა.

ᲕᲚ. ᲛᲔᲯᲓᲚᲘᲕᲘᲚᲘ.

შეჯიბრების მოწინავენი



ᲝᲪᲘ წელია თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობს ჯუმბერ იმერლიშვილი. თავისი შრომითი ბიოგრაფია მან მოწაფეობით დაიწყო, ახლა კი ელექტროზეინკალთა მოწინავე ბრიგადას მეთაურობს.

იგი ტექნიკური კონტროლის განყოფილებას პირველი წარდგენისთანავე აბარებს თავის ნამუშევარს და იბრძვის პირადი დამღის მიღების უფლებისათვის.

ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲡ: თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი ჯუმბერ იმერლიშვილი.

Ვ. ᲛᲝᲠᲑᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ფეხსაცმლის ფაბრიკა „იისნის“ მკერავის, კომუნისტური შრომის დამკვრელის ციალა ქურდოვანიძის სამუშაო კალენდარზე უკვე სექტემბერია. ციალა ქურდოვანიძე თბილისის № 27 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულია. იგი უკვე თხუთმეტი წელიწადია ამ საწარმოში შრომობს და ამ წლების მანძილზე სამაგალითო მუშაკად ითვლება. თავდადებულმა შრომამ მას კოლექტივის პატივისცემა მოუპოვა. იგი თავისი მუშაობის მეთოდებს დამწყებ მუშებს ხალისით უზიარებს.

ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲡ: თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „იისნის“ მოწინავე მკერავი კომუნისტური შრომის დამკვრელი ციალა ქურდოვანიძე.

Ვ. ᲛᲝᲠᲑᲣᲜᲝᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ბოლო მოვუდოთ შემრიგებლობას, უპრინციპობას, პოლიტიკურ უზრუნველობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი, რომლებიც არის რესპუბლიკის მთავარმომარაგების მუშაობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მოვლენების დაძლევა, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების ზუსტად დაცვა.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციების სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა. სოციალისტური საკუთრების დიდი დატაცება და სხვა ბოროტმოქმედებანი გამოვლინდა „საქნაირმარაგგასალების“, „საქელექტრომარაგგასალებ ი ს“ სამმართველოებში, „საქტარის“ ტრესტსა და სხვა ქვეგანაყოფებში.

მთავარმომარაგების სისტემაში ჯეროვანი წესრიგი არ არის აღრიცხვასა და ანგარიშგებაში, ცუდად მუშაობს საკონტროლო-სარევიზიო სამსახური. მთავარმომარაგების ხელმძღვანელობა არათუ არ ებრძოდა დარღვევებსა და ბოროტმოქმედებას, არამედ ზოგჯერ თვითონაც უწყობდა ხელს.

ხელმოშვებულია კადრებთან მუშაობაც. მთავარმომარაგებაში უხეშად არღვევენ ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაკთა შერჩევის პარტიულ პრინციპებს, ჯერ კიდევ არის პროტექციონიზმი და მფარველობა. სისტემაში ბევრი მთავარი პოსტი დიაკვეს შემოხვევითმა ადამიანებმა და პირებმა, რომლებმაც სახელი გაიტეხეს წარსულ სამუშაოზე.

ყველა ამ ნაკლმა დიდი გავლენა მოახდინა მთავარმომარაგების ძირითად საქმიანობაზე. მომარაგებისა და გასაღების გეგმები სისტემატურად იშლება. მთავარმომარაგების ხელმძღვანელობას არ გამოუტანია ჯეროვანი დასკვნები მითითებებიდან, რომლებიც მიეცა მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო, გამოიჩინა პოლიტიკური უზრუნველობა.

მთავარმომარაგების ზოგიერთი ხელმძღვანელი ღონისძიებებს, რომლებსაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოსაფხვრელად, მოეკიდნენ როგორც მიმდინარე კამპანიას და არ სჯერდათ ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება და ქმედითობა.

ბრძოლის უნარს მოკლებული აღმოჩნდა პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროც. მთავარმომარაგების კოლექტივს საერთოდ არაფერი გაუგია უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მიიღეს რესპუბლიკაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

რესპუბლიკის მთავარმომარაგების ცუდი, არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელებისათვის, კადრებთან მუშაობაში უხეში დარღვევისათვის, საგგმო მაჩვენებლების სისტემატური შეუსრულებლობისა და დიდი დატაცების დაშვებისათვის მთავარმომარაგების უფროსი ამხ. მ. გ. კოდუა მოხსნილია სამუშაოდან და მიეცემული პარტიულ პასუხისგებაში. თანამდებობებიდან განთავისუფლდნენ მთავარმომარაგების უფროსის მოადგილეები ამხანაგები რ. ი. შენგელია, მ. ი. კოლიაკოვი, ე. ე. ხარაბაძე, სამუშაოდან მოხსნილია და პარტიულ პასუხისგებაში მიეცა „საქნაირმარაგგასალების“ სამმართველოს უფროსი ამხ. შ. კ. შელია. მკაცრად დაისჯა მთავარმომარაგების ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი მუშაკი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მკვეთრად გააუმჯობესონ მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს საწარმოთა და დაწესებულებათა პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, გააძლიერონ კონტროლი სოციალისტური საკუთრების დაცვის, კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისათვის მუშაობისადმი, გააძლიერონ კოლექტივებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, შექმნან ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო.

• • •

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, ჭუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“, კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, მშრომელთა კოლექტივებმა მთავარმომარაგების სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის რეკომენდაციები მისცეს თავიანთ წევრებ მუშაკებს.

მთავარმომარაგების უფროსად დამტკიცებულია ამხ. ა. ი. ბუაძე, მთავარმომარაგების უფროსის მოადგილეებად ამხანაგები ზ. ა. სპრკოვი, გ. ს. კლიმიაშვილი და ო. ვ. ძვილითაია.

(საქინფორმი).

საქალაქო ცხოვრება

„სალუტ-5“: ორი კვირა ორბიტაზე

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 21 ივლისი. (საკადრესი). მოსკოვის დროით 11 საათისათვის ორბიტულმა სამეცნიერო სადგურმა „სალუტ-5“ 460-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, აქედან 217-ჯერ — ეკვატორიალურ.

ბორის ვოლინოვი და ვიტალი �ოლობოვი, რომლებიც მეცადინეობენ და მეთოთხმეტე სამუშაო დღეების ფრენის პროგრამას ასრულებდნენ, აწყობდნენ მორიგ და განაგრძობდნენ ადრე დაწყებულ მეცნიერულ ექსპერიმენტებს.

კოსმონავტები ხელის სპექტროგრაფის საშუალებით ეწეოდნენ დედამიწის დღის ჰორიზონტის სპექტრალურ გადაღებას ატმოსფეროს ოპტიკურად აქტიური კომპონენტების ვერტიკალზე განაწილების კვლევის მიზნით.

დამთავრდა 18 ივლისს დაწყებული ბიოლოგიური ექსპერიმენტი: ფიქსირებულია კრეპმხის გაღივებული თესლი. შემდგომ ამ თესლს დედამიწაზე ჩამოიტანენ ლაბორატორიულ პირობებში ექსპერიმენტის შედეგების ანალიზისათვის. ხადგურში სხვა მცენარეთა თესლიც აქვთ. იგი გაღივდება მუშაობის შემდგომ ეტაპებზე, რათა განსაზღვრონ, თუ რამდენად არის დამოკიდებული ზრდის პროცესების მიმდინარეობა კოსმოსური ფრენის ხანგრძლივობაზე.

სამედიცინო კონტროლის მონაცემებით, კოსმონავტები ვოლინოვი და ყოლობოვი თავს კარგად გრძნობენ. „სალუტ-5“ სადგური ფრენას განაგრძობს.

გულითადი მილოცვა

ᲐᲛᲘᲮᲐᲜᲐᲒᲘᲗᲐ ლ. ბრეჟნევმა, ნ. პოდგორნიმ, ა. კოსიგინმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედვარდ გიერეკს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჰენრიკ იაბლონსკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ პეტრე იაროშევიჩს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — პოლონეთის აღორძინების 32-ე წლისთავის გამო. დეპეშაში ნათქვამია: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად საბჭოთა ადამიანები ზეიმით აღნიშნავენ 22 ივლისს — ახალ, სოციალისტურ საფუძველზე პოლონეთის აღორძინების დღეს, რამაც უზრუნველყო ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობა, დინამიკური სოციალურ-ეკონომიური განვითარება, მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი. განვლილი წლების მანძილზე პოლონეთი გახდა ეკონომიურად მოწინავე სახელმწიფო, რომელსაც აქვს თანამედროვე სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, მდიდარი კულტურა. აქედან პოლონელი ხალხი გულმოდგინედ შრომობს, რათა განახორციელოს პოლონეთში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ისტორიულად დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობამ წამოაყენა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, როგორც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილის და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრს, დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალისტური თანამეგობრობის — ანტიიმპერიალისტური ბრძოლის მთავარი ძალის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბურჯის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში. საბჭოთა კავშირში ფართოდ არის აღიარებული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ქმედითი მონაწილეობა მომავ ქვეყნების შეთანხმებული კურსის განხორციელებაში, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავება, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება ევროპაში და სხვა კონტინენტებზე.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ მოძმე პოლონელ ხალხთან მეგობრობას, სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივ თანამშრომლობას, ჩვენი პარტიების მჭიდრო ურთიერთმოქმედებას, რასაც საფუძვლად უდევს საერთო კომუნისტური იდეალები და მიზნები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. საბჭოთა კომუნისტები, მთელი ჩვენი ხალხი კვლავაც თანამიმდევრულად განმტკიცებენ მეგობრობასა და თანამშრომლობას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ხელს შეუწყობენ ჩვენი პარტიებისა და ხალხების ყოველმხრივი ურთიერთმოქმედების შემდგომ განვითარებას ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობის მიერ დასახული კურსის რეალიზაცია, რომლის მიზანია ერთიანობისა და თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, ეკონომიური ინტეგრაციის პროცესის შემდგომი გაღრმავება, ხალხთა იდეურ-პოლიტიკური და სულიერი ერთობის განმტკიცება, ქვეყნების დაახლოება, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის მთელ კომპლექსს. (საკადრესი).

ᲡᲐᲛᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲖᲠᲐᲯᲔᲚᲓᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲮᲚᲬᲐᲛᲚᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ.

ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲓᲐᲕᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ!



ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲛᲠᲒᲕᲐᲚ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ, „ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲙᲐᲠᲗᲘᲡ ᲗᲒᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲪᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲡᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲗ, ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲓᲔᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ.

ᲛᲔᲒᲠᲝᲑᲠᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲠᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲜᲘ

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠ, ᲠᲐ ᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲧᲔᲑᲐ? ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲕᲐᲛᲐᲚᲚᲝᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ? ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲙᲣᲕᲐᲒᲓᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲪᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲗᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲐᲕᲠᲪᲔᲚᲝᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ, ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲔᲑᲘᲗ? — ᲐᲝ ᲛᲘᲖᲜᲐᲜ ᲘᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲮᲣᲗᲓᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲛᲠᲒᲕᲐᲚ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲕᲔᲓᲜᲣᲚ.

რედაქციაში მოვიდა პარტიულ მუშაკთა ერთი ჯგუფი — რესპუბლიკის საქალაქო და სასოფლო პარტიული ორგანიზაციებიდან. მათ შორის. იყვნენ პარტიის რაიკომის მდივნები და რაიკომის ინსტრუქტორები, პარტბიუროთა მდივნები, პარტიული კომიტეტების წევრები... გაიმართა საქმიანი საუბარი, აზრთა ურთიერთგაცვლა პარტიული ცხოვრების მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბრის მოკლე ანგარიშს.

ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲐᲡᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ: ვიცი, თქვენს საერთო აზრს გამოვხატავ და ამიტომაც ვამბობ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის ახალმა პოლიტიკურმა დოკუმენტმა კიდევაც გაგვახარა, გაგვამხნევა და უკეთესი შრომისათვისაც განგვაწყო. დადგენილებაში არა მარტო დადასტურებულია ჩვენი ნაბიჯების სისწორე, არა მარტო მოწონებულია აღებული კურსი, ამასთან გამოთქმულია კეთილი რჩევაც, თუ როგორ ვიმოქმედოთ მომავალში, რას მივაქციოთ ყველაზე მთავარი ყურადღება.

კვლავ საქმის თავი და თავი კი შემოქმედებითი პარტიული მუშაობაა, რაშიც უდავოდ დაგვჭირდება მეცნიერული საფუძვლების გამოყენება, მოწინავე პარტიული ორგანიზაციების დადებითი გამოცდილების გადმოღება.

ვფიქრობ, ჩვენ ყველაზე მეტად ხელს გვიშლის ფორმალიზმი. იგი ხომ ცოცხალი საქმის ყველაზე დიდი მტერია. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტი მიგვითითებს, ჩვენი მუშაობა უნდა შეეფასოთ ჩატარებული თათბირების ან მიღებული დადგენილებების რაოდენობის მიხედვით კი არა, არამედ საქმის ფაქტიური მდგომარეობით, კონკრეტული შედეგებით.

მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა რომ გავაუმჯობესოთ, პარტიის კასპის რაიკომი საამისოდ პირველი რიგის ამოცანად თვლის კადრების სწორად შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მოფიქრებულ ორგანიზაციას, კრიტიკასა და თვითკრიტიკის გაშლას, პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

ყველას გვახსოვს, რომ ამ უკანასკნელ წლებამდე როგორც საერთოდ, ისე რაიონულ რგოლში, თითქმის არავინ ფიქრობდა ე. წ. სარეზერვო კადრებზე. ბევრი მუშაკი შეუცვლელად მიაჩნდათ. ამკამად პარტიის რაიონული კომიტეტის განყოფილებებს შემოღებული აქვთ სარეზერვო კადრებისათვის სპეციალური საარჩევნო ბარათები, რომლებიც სათანადოდ ინახება. ამ ამხანაგებს ეძლევათ დავალებები, ხშირად გამოაქვთ საკითხები ბიუროს სხდომისათვის, ამოწმებენ მშრომელთა საჩივრებს... ახლა აღარ გვჭირდება დიდი ძებნა, თუ ვისით შევცვალოთ ესა თუ ის ნომენკლატურული მუშაკი.

დამეთანხმებით, ბიუროკრატიზმი, უპასუხისმგებლობა, უდისციპლინობა პირველ რიგში იქ იჩენს თავს, სადაც ადამიანები შეეჩვევნენ უკონტროლობას, სადაც შესრულების შემოწმებისათვის სათანადოდ არ იცლიან. ამიტომ პარტიის რაიკომის მუშაკები ყოველდღიურად გარკვეულ დროს უნდა გამოყოფდნენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმებისათვის.

ჩვენ კარგა ხანია შემოვიღეთ ჟურნალი კომუნისტთა წინადადებებისათვის, მათი კრიტიკული შენიშვნებისათვის. ჟურნალს აქვს სპეციალური გრაფები, თუ ვის მიმართ გამოითქვა კრიტიკული შენიშვნა, რას ეხება იგი, ვის დაეკალა, და ბოლოს, იქვე იწერება პასუხიც თუ პრაქტიკულად რა გაკეთდა.

რა თქმა უნდა, შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ბევრი ფორმა არსებობს ამჟამად სხვა საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობაა ჩატარებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შემდეგ, რომელმაც მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები მოგვცა. საჭიროა ამ მხრივ შეძენილი გამოცდილება ფართოდ გავავრცელოთ, ამასთან გავითვალისწინოთ მუშაობის კონკრეტული პირობები.

ამ ბევრი ფორმებიდან და მეთოდებიდან, რასაც პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის ვიყენებთ, მე მოგახსენებთ მხოლოდ ერთს: კვირაში ერთხელ ან ორჯერ, შესაძლებლობის მიხედვით, პარტიის რაიკომის ერთერთი მდივნის ხელმძღვანელობით, პირველად პარტიულ ორგანიზაციაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა თუ რომელიმე დაწესებულებაში პრაქტიკული დახმარებისათვის მიდის სპეციალური ჯგუფი. იგი ადგილზე გულდასმით ეცნობა საქმის ვითარებას — თუ როგორ მუშაობენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, როგორია მშრომელთა მომსახურება, რა უპირთ და რა ულხინთ. ჯგუფი ადგილზევე აწყობს მშრომელთა მიღებას, საღამოს აჯამებს ყოველივეს და ადგენს ღონისძიებათა გეგმას, თუ რა არის გასაკეთებელი, რას და ვინ უნდა მიაქციოს დროული ყურადღება.

ასეთი ჯგუფების შემწეობით რაიკომის მუშაკები კურსში შედიან, თუ რომელ სოფელში, რომელ ორგანიზაციაში რა არის პრაქტიკულად გასაკეთებელი, სად რა ობიექტის აშენებაა უფრო გადაუდებელი, სად როგორი დახმარების ხელია საჭირო.

როცა მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრებაზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა ეს იმას ნიშნავს, **რომ თვითეულ მუშაკში აღვზარდოთ საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა.** ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა ჩვენს ირგვლივ სულ უფრო იქმნება სარაიონთაშორისო გაერთიანებანი, მსხვილი აგროსამრეწველო ბაზები. სამწუხაროდ, ზოგი მუშაკი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა კუთხურობის, ვიწრო უწყებრივი ცოდვებისაგან. ეს სახელს უტეხს ასეთ ორგანიზაციებს, აკნინებს მათ როლს. ამიტომ ასეთ გამოვლინებებს მკაცრი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲠᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲜᲘ

ᲝᲗᲐᲠ ᲗᲝᲚᲝᲠᲐᲘᲐ — ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ“ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ: ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚი დღესავით მახსოვს ის გაწყობილება, რომელიც ამ ოთხიოდე წლის წინათ ჩვენს პარტიულ კოლექტივში იყო შექმნილი. რამდენი ხვეწნა, დარწმუნების მეთოდების გამოყენება გვჭირდებოდა, რომ პარტიული დავალებების შესრულებისათვის შეგვერჩია კომუნისტები. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. გაჩნდა მეტი ხალისი და ენთუზიაზმი. მეორე წელია, რაც გამოვაცხადეთ კონკურსი საუკეთესო **პარტიული აქტივისტის წოდებისათვის.** შეგიმუშავეთ პირობებიც, ამან კიდევ უფრო გაზარდა პასუხისმგებლობა და მონდომება.

თუ წინათ გაერთიანებაში შემავალი ზოგიერთი საწარმო ძლიერ ჩამორჩებოდა და ერთიანად გეგმის შემცირებას მოვითხოვდით, ახლა პირიქით, გეგმის გაზრდისაკენ მივისწრაფვით. შარშან მილიონ 250 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მოვეცით საშობლოს. წლეულისდელი ვალდებულებითაც ამდენივეს გადავეჯარებთ.

კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით შემოვიღეთ დღიურები, სადაც აღინიშნება თუ რას აკეთებს კომუნისტი, რა დავალებას ასრულებს.

გაერთიანების კომუნისტებს, მუშებს მოსწონთ ჩვენს მიერ შემოღებული „პარტიული კომიტეტის დღე“. საწარმოებში მთელი დღის განმავლობაში გაჯრულია განცხადება, რომ ტარდება ასეთი დღე და დღის ბოლომდე უამრავ განცხადებას, საჩივარს

პარტიული ხელმძღვანელობის წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა მუშაობის ლენინური სტილი. ლენინური სტილი კი — ეს არის შემოქმედებითი სტილი, რომლისთვისაც უცხოა სუბიექტივიზმი, გამსჭვალულია ყველა საზოგადოებრივი პროცესისადმი მეცნიერული მიდგომით. იგი გულისხმობს მაღალ მოთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი, არ ცნობს თვითკმაყოფილებას, სძლევს ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: „კომუნისტის“ რედაქციაში შეხვედრის მონაწილეთა ჯგუფი.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

გვაწვდიან, რომელთა შესწავლა-განხილვა ოპერატიულად ხდება. ერთერთი ასეთი პარტიული კომიტეტის ინიციატივით ასეთი ჯგუფი ჩატარდა რუსთავის ქარხანაში, რომელიც ჩვენს გაერთიანებაშია.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის ზრუნვა ყოველი პარტიული კომიტეტის გადაუდებელი საქმეა, მითუმეტეს ჩვენი გაერთიანებისათვის, სადაც რამდენიმე ეროვნების წარმომადგენელნი შრომობენ. ბევრი საინტერესო ექსპონატი აშშვენებს ჩვენს მუზეუმს, რომელიც სწორედ ამ მიზნით შეიქმნა და ატარებს სახელს **„ᲩᲕᲔᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲠᲗ ᲫᲚᲘᲔᲠᲜᲘ“.**

ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲜᲔᲚᲘ ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲐᲠᲛᲝᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲘᲡ ᲛᲝᲐᲖᲠᲔᲑᲐᲖᲔ: ჩვენი წინმსწავლელობის ტემპი და მასშტაბები დღის წესრიგში აყენებენ **პერსპექტიული დაგეგმვის** აუცილებლობას. კარგად მოფიქრებული პერსპექტიული გეგმა პარტიულ კომიტეტს, თუ პირველადს ორგანიზაციას დროსაც უზოგავს და საშუალებას აძლევს კომპეტენტურად, ღრმად, უფრო საქმიანად მიუდგეს ამა თუ იმ აქტუალურ პრობლემას. ამ პეშმარიტებაში საკუთარი მაგალითით კარგად დავრწმუნდით პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მუშაკები.

თავის მხრივ, პერსპექტიულ დაგეგმვას წინ უძღვის დიდი და მრავალმხრივი სამუშაო, რათა ყოველი საკითხი, რაც ამ გეგმაში შევა, გამომდინარეობდეს აუცილებლად საქმის ინტერესებიდან, პასუხობდეს პარტიული ორგანოს წინაშე დასმულ მთავარ პრობლემას. ამ მიზნით სხვა მრავალ ფორმასთან და მეთოდთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რეკომენდაციებს. დაგეგმვას უნდა ჰქონდეს მეცნიერული საფუძველი.

მე არ შეეხებიდან დაწვრილებით საუბარს ამ ინსტიტუტის საქმიანობაზე, ან თუ გნებავთ ხარისხის მართვის შტაბისა და სხვა სიახლეთა შესახებ, რომლებიც უკანასკნელ ხანს ქუთაისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში დაინერგა და საკმაო გამოცდილებაც არის შეძენილი. ამაზე პრესაშიც დაიწერა. თანაც ისინი ცალკე დიდი საუბრის თემებია. მოკლედ მინდა ვთქვა, პარტიულ ორგანიზაციათა იმ ზონალურ მეთოდკაბინეტებზე, რომლებიც ქალაქში 15-ია. ისინი მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებთან არის შექმნილი და თავიანთი მდიდარი ბაზით (პარტიული მუშაობის თვალსაჩინოებით) პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილ ცენტრებს წარმოადგენენ. ამ დღეებშიც, ამ მეთოდ-კაბინეტებში მჩქეფარე მუშაობაა. აქ იმართება საკონსულტაციო საუბრები, მიმდინარეობს განმარტება და შესწავლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილებისა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას მნიშვნელოვნად გვიადვილებს ჩვენი საინფორმაციო ცენტრი, საიღანაც მაგნიტური დაფების, პერფორუკების, სხვადასხვა ორგტექნიკური საშუალებების გამოყენებით შეგვიძლია ოთახიდან გაუსვლელად წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როდის, რა საკითხზე გაიმართა ან უნდა გაიმართოს პირველადი პარტორგანიზაციის კრება, სად რა მეცადინეობა ან სხვა ღონისძიებაა დაგეგმილი.

ᲛᲔᲝᲥᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ, ᲛᲔᲝᲥᲘ ᲒᲐᲥᲐᲜᲔᲑᲐ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ კი — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲣᲪᲮᲝᲐ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘᲖᲛᲘ, ᲒᲐᲛᲡᲭᲕᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲗ. ᲘᲒᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠ ᲪᲜᲝᲑᲡ ᲗᲕᲘᲗᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲡᲚᲔᲕᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐᲡ.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲐᲟᲘ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲓᲑᲐᲠᲘᲫᲔ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ:

სასიხარულოა ის დიდი შეფასება, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა თავის ახალ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობას. ეს, როგორც აქ თქვეს, დიდი დაფასებაც არის და დიდი მოვალეობაც.

თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობის პრობლემებია გადასაწყვეტი. ბრძოლა ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ანტიპოდების წინააღმდეგ, უპასუხისმგებლობისა და უდისციპლინობის წინააღმდეგ როდი დავამთავრეთ?! ამიტომ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე, გავხადოთ იგი ნამდვილად შემოქმედებითი, მიზანმიმართული.

მაგრამ სად უნდა ჩქეფდეს, თუ არა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ეს მუშაობა? ამიტომ მთელი უდიდესი ყურადღებაც სწორედ იქ უნდა გადავიტანოთ. ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობა ყველა ორგანიზაციაში თანაბრად როდია. როგორ მივაღწიოთ ყველგან საერთო აღმავლობას? მე, როგორც ინსტრუქტორი, მიზნად ვისახავ ამ ამოცანას. პრაქტიკაში დავამკვიდრეთ, რომ ყოველკვირეულად 2-3 პირველადს პარტორგანიზაციაში ყოფნის შესახებ ანგარიშს ვუდგენთ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებას... რაიკომის წევრებიც მიმაგრებული არიან პარტიულ ორგანიზაციებზე და ისინი რაიკომში ანგარიშს წარმოადგენენ ხოლმე. ეს საშუალებას აძლევს რაიკომის აპარატს სწორად განსაჯოს, თუ სად რა კონკრეტული ღონისძიება მოაწყოს.

განსაკუთრებული ყურადღება გადავიტანეთ მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებზე, რომლებიც რაიონში საკმაოდ ბევრია, ყველაზე დიდ დახმარებად ვთვლით ადგილებზე ცოცხალ ინსტრუქტაჟს, მათს ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას.

ჯერ კიდევ ვხედებით ფაქტებს, როცა რომელიმე პარტიული ორგანიზაცია ერთდაიმავე საკითხს მეორედ განიხილავს ხოლმე. ეს იმიტომაა, რომ უკანასკნელ ხანს გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად, სუსტია **მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების ორგანიზაცია,** იგი დროულად არ ხდება. შესრულების შემოწმება და კონტროლი კვლავ და კვლავ ჩვენი მოღვაწეობის ერთერთი მთავარი საკითხია.

ᲐᲡᲙᲐᲠᲘᲛᲖᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲓᲑᲐᲠᲘᲫᲔ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ:

სასიხარულოა ის დიდი შეფასება, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა თავის ახალ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ბოლო წლების საქმიანობას. ეს, როგორც აქ თქვეს, დიდი დაფასებაც არის და დიდი მოვალეობაც.

თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობის პრობლემებია გადასაწყვეტი. ბრძოლა ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ანტიპოდების წინააღმდეგ, უპასუხისმგებლობისა და უდისციპლინობის წინააღმდეგ როდი დავამთავრეთ?! ამიტომ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ჩვენი შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე, გავხადოთ იგი ნამდვილად შემოქმედებითი, მიზანმიმართული.

მაგრამ სად უნდა ჩქეფდეს, თუ არა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ეს მუშაობა? ამიტომ მთელი უდიდესი ყურადღებაც სწორედ იქ უნდა გადავიტანოთ. ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობა ყველა ორგანიზაციაში თანაბრად როდია. როგორ მივაღწიოთ ყველგან საერთო აღმავლობას? მე, როგორც ინსტრუქტორი, მიზნად ვისახავ ამ ამოცანას. პრაქტიკაში დავამკვიდრეთ, რომ ყოველკვირეულად 2-3 პირველადს პარტორგანიზაციაში ყოფნის შესახებ ანგარიშს ვუდგენთ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებას... რაიკომის წევრებიც მიმაგრებული არიან პარტიულ ორგანიზაციებზე და ისინი რაიკომში ანგარიშს წარმოადგენენ ხოლმე. ეს საშუალებას აძლევს რაიკომის აპარატს სწორად განსაჯოს, თუ სად რა კონკრეტული ღონისძიება მოაწყოს.

განსაკუთრებული ყურადღება გადავიტანეთ მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებზე, რომლებიც რაიონში საკმაოდ ბევრია, ყველაზე დიდ დახმარებად ვთვლით ადგილებზე ცოცხალ ინსტრუქტაჟს, მათს ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას.

ჯერ კიდევ ვხედებით ფაქტებს, როცა რომელიმე პარტიული ორგანიზაცია ერთდაიმავე საკითხს მეორედ განიხილავს ხოლმე. ეს იმიტომაა, რომ უკანასკნელ ხანს გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად, სუსტია **მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების ორგანიზაცია,** იგი დროულად არ ხდება. შესრულების შემოწმება და კონტროლი კვლავ და კვლავ ჩვენი მოღვაწეობის ერთერთი მთავარი საკითხია.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲐᲟᲘ

**ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲰᲘᲚᲚᲐᲫᲔ — ᲬᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲐᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

„პრავდის“ ფურცლებიდან

ყაირათიანობა მკის კანონია

გახურებული მუშაობის დრო დაუდგათ ახლა სოფლის მშრომელებს. ზაფხულში მინდვრად ბევრი გადაუდებელი საქმეა, რომელთა შორის უმთავრესია მოსავლის აღება. ასრულებენ რა XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მიწათმოქმედნი მტკიცედ იბრძვიან, რომ მიიღონ სოფლის მეურნეობის მტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია და ამით კარგი დახმარება მისცენ მეათე ხუთწლედს.

მკის წინ წარჩინებულმა მექანიზატორებმა, — წერს გაზეთი მოწინავეში — „ყაირათიანობა მკის კანონია“, — პარტიული ყრილობის დელეგატებმა წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. პატრიოტულმა ინიციატივამ, მოსავლის ბედისადმი მექანიზატორთა ფართო სახელმწიფოებრივმა მიდგომამ დამსახურებული შეფასება მიიღო. სიპასუხო წერილში ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა, რომ ნოვატორთა რჩევას გაიზიარებს თვითეული მშრომელი, ხელს შეუწყობს მათ ბრძოლონ ოსტატობა, გაამრავლებს პირად წვლილს სოფლის მეურნეობის განვითარების დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში, რომლის მიზანია დროულად, მაღალხარისხოვნად ავიღოთ მოსავალი, წამყვანი როლი ეკუთვნით სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს. ახლა მთავარია ყველა მექანიზატორი ჩავაბათ ტექნიკის მაქსიმალური გამოყენებისათვის მოძრაობაში, მივაღწიოთ, რომ ფარფოდ იყოს გამოყენებული ნოვატორული ტექნოლოგია, ჩავუნერგოთ მათ მოსავლის ბედისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა. უნდა გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მინდვრად, გავაძლიეროთ შეჯიბრების საჯაროობა, მხარი დავუჭიროთ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საბრძოლო განწყობილებას. მკა ძალ-ღონის დიდ დაძაბვას, დიდ ენერგიას მოითხოვს, ამიტომ მეტად საჭიროა დღენიადაგ ვიზრუნოთ და მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ მის მონაწილეებს.

ივლისი აფრთოვებს ალოობის საზღვრებს, — ნათქვამია დასასრულ, — და ყოველი მხრიდან, სადაც შემოსულ ყნებში მანქანები გავიდნენ, მოდის ცნობები მიწათმოქმედთა ახალი შრომითი მიღწევების შესახებ. ისინი საქმით ადასტურებენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ პირნათლად შეასრულონ მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები და ვალდებულებები, გაახარონ სამშობლო უხვი მოსავლით.

„პარტიული ცხოვრების“ რუბრიკით გაზეთი მეორე გვერდზე ბეჭდავს უკრაინის კომპარტიის ქიევის საქალაქო კომიტეტის მდივნის ვ. გაევოის წერილს — „არა მარტო აბრის შეცვლა“.

ამა წლის 8 აპრილს „პრავდამ“ გამოაქვეყნა მოსკოველი მუშის ა. შუმილკინის წერილი — „შენი ცხოვრებისეული პოზიცია“, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ცხადია, მთელი სარედაქციო ფოსტა გაზეთის ფურცლებზე ვერ მოზდება. გუშინდელ ნომერში რუბრიკით — „საუბრის დასასრულს“ — შეგიძლიათ წაიკითხოთ ვ. გრიშინისა და ვ. ჩაჩინის მიმოხილვა — „ქცევის ნორმა“.

„პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილველი გიორგი რატანაძე მკითხველს სთავაზობს ამ დღეების საერთაშორისო ცხოვრების მიმოხილვას („პრეტორიული ფსონი“).

ПРАВДА

ჯილდო გადაეცა მიხეილ შოლოხოვს

ვეშენსკაია (როსტოვის ოლქი), 21 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური და ნობელის პრემიების ლაურეატს მ. ა. შოლოხოვს გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოსის ს. ი. ვავილოვის სახელობის მედალი გადაეცა. საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის სამპატიო ჯილდო მწერალს მიენიჭა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში გაწეული ღვაწლისათვის.

მ. ა. შოლოხოვმა მადლობა გადაიხადა მისი შრომის მაღალი შეფასებისათვის, აღნიშნა საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობის დიდი მნიშვნელობა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

მიფრინავს „კოსმოს-842“

1976 წლის 21 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-842“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

წერილი რედაქციას

ყოფილხართ ვაჟა-ფშაველას მუზეუმში?

მას შემდეგ, რაც ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა, ინტერესი მისი შემოქმედებისადმი არ შენელებულა. ქართველი მკითხველისათვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეროვნულ მწერლობას დიდი ხელოვანი მოვევლინა. თანამედროვეებმა სიცოცხლეშივე აღიარეს ვაჟა გენიოსად. უკვე მაშინ ჩაეყარა საფუძველი მწერლის მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ დაიწერა ვაჟას ცხოვრებასა და პოეზიაზე, მისი შემოქმედების მრავალი პრობლემური საკითხი გაიარკვა, ვაჟას სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს და დღეს ქართველი კაცი ამ სახელით თავს იწონებს სხვათა წინაშე...

მაგრამ, საუბედუროდ, არამცთუ თავს ვერ მოვიწონებთ, არამედ დიდადაც შევრცხვებით, თუკი გარეშე კაცი ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს ინახულებს ჩარგალში. ამის თაობაზე ადრეც დაწერილა ჩვენს პრესაში, ამის შესახებ გაკვრით იყო ლაპარაკი ს. ნარიმანიძის წერილში — „ფიქრები ფშავ-ხევსურეთზე“, რომელიც ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა (7. VII. 76).

რა მოხდა, რატომ არ დაადგა საშველი ვაჟას სახლ-მუზეუმის მოწყობას? გვეტყვიან, რომ არსებობს ჩინებული პროექტი დ., როდესაც ამ პროექტის მიხედვით აშენდება ჩარგლის სახლ-მუზეუმი, მაშინ ყველაფერი მოგვარდება.

კეთილი და პატიოსანი! ასეთი პროექტი, მართლაც, არსებობს, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი განხორციელება საკმაოდ შორეული მომავლის საქმეა, მანამდე კი გულხელდაკრეფილი უნდა ვიყოთ? რაც არის, ამას არ უნდა მივხედოთ?

ვაჟამ მარტო უმდიდრესი სულიერი საგანძური როდი უანდერძა ქართველ ერს... ამ ღატაკმა კაცმა დიდი მატერიალური სიმემკვიდრეც დაგვიტოვა. მრავალჯერ გამოიცა მისი ნაწერები. თავის დროს შეიძლებოდა ამ შემოსავლის ნაწილით შექმნილიყო „ვაჟას ფონდი“ და იგი სახლ-მუზეუმის მოწყობას, ვაჟას პრემიის დაარსებასა და სხვა მრავალ კეთილ საქმეს მოხმარდებოდა. მაგრამ ეს წარსული ამბავია. ამჟამად რა შესაძლებლობაც გვაქვს, იმის მიხედვით ვიმოქმედოთ.

ვაჟას მუზეუმს მრავალი სტუმარი ჰყავს. ჩამოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, ჩამოდიან უცხოეთიდანაც. და იქმნება კურიოზული ვითარება: მუზეუმში სტუმარი ვერ ნახავს ვაჟას ნაწარმოებთა ვერცერთ გამოცემას. განა მსოფლიოში არსებობს სადმე მწერლის სახლ-მუზეუმი, სადაც თავმოყრილი არ იყოს მისი საკუთარი ნაწერები? (ალარას ვამბობ მწერლის თხზულებათა თარგმანებსა და მისი შემოქმედების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე). ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში, თვით საქართველოში, არ არის არცერთი მწერლის სახლ-მუზეუმი. ვაჟას მემკვიდრეებსა და მუზეუმის მესვეურთ განა ვინმე დაუკავებდა მწერლის თხზულებათა მრავალი გამოცემის თითო ეგზემპლარს, რათა მცირე საექსპოზიციო კუთხე მაინც მოწყობილიყო?

ამ ერთი თვის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტის თანამშრომლები შეხვდნენ მაღაროსკარის სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებს და, საერთოდ, იქაური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. წაიკითხეს მოხსენებები ვაჟას შემოქმედების სხვადასხვა საკითხზე. ეს შეხვედრა მიეძღვნა მწერლის დაბადების 115-ე წლისთავს. იქაც გულისტკივილით აღინიშნა ჩარგლის მუზეუმის საავალალო მდგომარეობა. ვიდრე მაღაროსკარელებს შევხვდებოდით, მანამდე ჩარგალში ავედით, მუზეუმს საჩუქრად გადავეცით ვაჟა-ფშაველას კაბინეტის გამოცემები. ვიმედოვნებთ, რომ ამით ერთგვარად საფუძველი ჩავუყარეთ წიგნების ფონდს ჩარგლის სახლ-მუზეუმში.

ვაჟას სახლ-მუზეუმის მოწყობას ბოლოსჯაბოლოს საშველი უნდა დაადგეს!

ვფიქრობთ, ამაში დაგვეთანხმებიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

ჯ. ჭუმბურიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ

სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის კამპანია ფართოვდება

მთელ მსოფლიოში ფართოვდება გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის სტოკჰოლმის ახალ მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია. მას მხარს უჭერენ სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სოფია. სტოკჰოლმის მოწოდება მიმაჩნია მოწოდებად, რომ გავაერთიანოთ ძალები გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, უომო, უიარაღო მსოფლიოს შექმნისათვის ბრძოლაში, თქვა ევრენის უშიშროებისა და თანამშრომლობის ბულგარეთის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ბრატანოვმა. ამ დოკუმენტზე ხელმოწერის შეგროვება მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს ახლახან ბერლინში დამთავრებული ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის ნიშნით, რომელმაც შეიმუშავა მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამა. ბულგარეთის საზოგადოებრიობა ღირსეულ წვლილს შეიტანს ომის თავიდან აცილებისათვის ხალხთა ბრძოლის საერთო საქმეში. მოწოდება მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მოქმედების პროგრამაა.

ტანანარივი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა მიერ სტოკჰოლმის ახალ მოწოდებაზე ხელმოწერა, რომელსაც უკვე ას მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი შეუერთდა, კვლავ მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი ნიადგ ზრუნავს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის, ნათქვამია მადაგასკარის პრესის საგაზეთოს ცნობაში. ცნობაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირი დიდ სახელმწიფოთაგან ერთადერთია, რომელიც არ ზრდის წლითიწლობით თავის სამხედრო ხარჯებს და იბრძვის სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების საერთო შეთანხმებული შემცირებისათვის.

ულლამბადე. სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას ფართოდ დაუჭირა მხარი პაკისტანის დემოკრატიულმა საზოგადოებამ, უთხრა საკდესის კორესპონდენტს პაკისტანის ქალთა დემოკრატიული ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ტაჰირა ალი ხანმა. ქვეყნის უდიდეს ქალაქებში — ლაჰორში, ლაიალპურში, მულტანში, თქვა მან, დაიწყო მოწოდებაზე შეგროვების კამპანია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის მშვიდობის საბჭო, სტუდენტთა სოციალისტური კავშირი, ქალთა დემოკრატიული ასოციაცია და პაკისტანის სხვა პროგრესული ორგანიზაციები. (საკდესი).

იტალია: მთავრობის შექმნის პრობლემა

რომი. (საკდესი). ქრისტიანმა დემოკრატმა ჯ. ანდრეოტიმ, რომელსაც ახალი მთავრობის შედგენა დაევალა, დაამთავრა პოლიტიკურ პარტიებთან და პროფკავშირთა წარმომადგენლებთან კონსულტაციების პირველი ტური.

კონსულტაციებმა ცხადყვეს, რომ პოლიტიკურ პარტიებს შორის კვლავ სერიოზული უთანხმოებანია, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, შეეხება მთავრობაში კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობის პრობლემას.

ქრისტიან დემოკრატებს იმის იმედი აქვთ, რომ აღდგება თანამშრომლობა პარტიებთან, რომლებიც შედიოდნენ „მემარცხენე ცენტრის“ წინა კოალიციათა შემადგენლობაში, — სოციალისტებთან, სოციალ-დემოკრატებთან და რესპუბლიკელებთან.

მაგრამ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის გეგმებს, რომლებშიც კომპარტიას წინასწარ ოპოზიციის როლი განეკუთვნება, მხარს არ უჭერენ ქრისტიან-დემოკრატთა ყოფილი პარტნიორები მთავრობის კოალიციებში.

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის, იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციისა და იტალიის შრომის კავშირის ერთიანმა პროფკავშირულმა ფედერაციამ, რომლის დელეგაცია შეხვდა ჯ. ანდრეოტის, კონკრეტული წინადადებანი წამოაყენა იმის თაობაზე, რომ ახალი მთავრობის პროგრამაში შედიოდეს მძიმე ეკონომიური კრიზისის დაძლევის რადიკალური ღონისძიებანი.

საკდესი გვაცნობებს

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● ბელგრადი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. ბროზ ტიტომ მიიღო ანგოლის საპასუხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლოპუ დუ ნასიმენტუ, რომელიც ოფიციალური მეგობრული ვიზიტით არის იუგოსლავიაში.

● ბონი. „დემოკრატები აძლიერებენ ბრძოლას „პროფესიების აკრძალვის“ წინააღმდეგ“ — ასეთი ლოზუნგით გაიმართა მიუხხენში მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და რამდენიმე საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრიობის 800-ზე მეტი წარმომადგენელი.

● ბრიუსელი. უშედეგოდ დამთავრდა ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრების საბჭოს სესია საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომელმაც ორ დღეს გასტანა. განიხილეს, კერძოდ, „ევროპის კავშირის“ შექმნის საკითხი, ევროპის პარლამენტში პირდაპირი არჩევნების მოწყობის, საბერძნეთისა და თურქეთთან გაერთიანების ურთიერთობის პრობლემები და სხვა საკითხები.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამ პრობლემებს კვლავ განიხილავენ ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრების საბჭოს მორიგ სესიაზე.

● ლიმა. პერუს ხელისუფლება გაათავისუფლეს პერუს მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი, პერუს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრი გუსტავო ესპინოსა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დაპატიმრეს.

ფესტივალის ლაურეატები

პრაღა, (საკდესი). კარლოვი ვარში დამთავრდა საიუბილეო მე-20 საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით „ადამიანთა კეთილშობილური ურთიერთობისათვის, ხალხთა მარადიული მეგობრობისათვის“. საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელიც გუშინ საღამოს გამოაცხადეს, მთავარი პრიზი — „ბროლის გლობუსი“ მიენიჭა კუბელი რეჟისორის უ. სოლასის ფილმს „კინტატა ჩილეზე“. ფესტივალის პრემიები მიენიჭა კინოსურათებს: რეჟისორ გ. პანფილოვის (სსრ კავშირი) „მე ვიეიხავ სიტყვას“ და რეჟისორ ვ. ვორლიჩეკის (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა) „შუშხუნა ღვინო“.

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომენტარი

უცხეში ზემოქმედება

პეკინი. არ მალავენ თავიანთ უგუნებობას, უფრო მეტიც, იქ აღშფოთებულნ არიან. ამას მოწმობს სინხუას საგენტოს ახლახან გავრცელებული სტატია, მისი უდიერი, უტიფარი ტონი.

მაოისტთა ზედაფენის აღშფოთების საბაბი გახდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა, რომელიც ფაქტიურად მოუწოდებს ჩინეთის არ ჩაერიოს საქმეებში, რომლებიც მას არ ეხება.

გამოვიდა რა იაპონიის პარლამენტის ერთ-ერთ კომისიაში, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიაძახვამ აღნიშნა პეკინის ცდები ურთიერთობა გაუფუჭოს სსრ კავშირსა და იაპონიას. მან თქვა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა ადგილობრივი ხელისუფალნი ფეზზლად იყვნენ ჩინეთის დელეგაციების მიღების დროს, რომლებიც თავიანთ ჩამოსვლას იაპონიაში ანტისაბჭოური პროპაგანდისათვის იყენებენ.

ამასთანავე იაპონიის დიპლომატიური უწყების მეთაურმა თქვა, რომ ვერ მოიწონებს მაოისტების მოთხოვნას — შეიტანონ იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულების პროექტში დებულება ეგრეთ წოდებული „ჰეგემონიის“ შესახებ, რომელიც, როგორც არ უნდა მალავდეს ამას მაოს ჯგუფი, მიმართულია საბჭოთა კავშირისა და მისი საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ.

იაპონიის პრესა, კერძოდ გაზეთი „იომიური“, აღნიშნავს, რომ იაპონიის სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით მინისტრის განცხადება სწორი იყო. ჩვენ ქვეყანა, წერს იაპონიის მეორე გაზეთი „ნიხონ კეიძაი“, „ყოველ ღონეს ხმარობს სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისათვის და თუ ჩინეთს არ ეპატიჟავება ასეთი პოზიცია, იაპონია ვერ დაეთანხმება მას“.

აი, სწორედ აქ დაიწყო პეკინის უხეში ზემოქმედება. სინხუას საგენტომ უტიფრად გაიალაშქრა იაპონიის მთავრობისა და პირადად საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ. თითქმის ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა მას სსრ კავშირის მიმართ განახორციელოს მაოისტებისათვის სასურველი პოლიტიკური კურსი.

ჩინეთის ზედაფენა პირველად როდი ეჩრება სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში, მიეუთითებს მათ, როგორი პოლიტიკა უნდა განახორციელონ, ჩინეთის აზრით, და როგორი უნდა უარყონ. გავიხსენოთ, მაგალითად, ინდოეთის, ბირმის, ბანგლადეშის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამეგობრო მაოისტების თავხედური ჩარევის მრავალი ცდა, მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის ცნობილი ფაქტები, ჩინეთის ტერიტორიული პრეტენზიები ბევრი მეზობელი სახელმწიფოს, კერძოდ იაპონიის მიმართ. (საკდესი).

ერთადერთი სწორი გზა

22 ივლისი პოლონეთის აღორძინების დღე

22 ივლისი — ეს ის დღეა, რომელმაც 32 წლის წინათ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას პოლონელი ხალხის და ქვეყნის ისტორიაში. 1944 წლის ამ დღეს, მშობლიური მიწის ერთ პატარა მონაკვეთზე, რომელიც გმირულმა საბჭოთა არმიამ და მის მხარდამხარ მებრძოლმა პოლონეთის პირველი არმიის ნაწილებმა გაანთავისუფლეს, პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტმა ისტორიული მანიფესტი გამოაქვეყნა. ამ დოკუმენტით გამოცხადდა სახალხო სახელმწიფოს დაბადება, მასში ჩამოყალიბებული იყო სოციალური რევოლუციის პროგრამა. მას შემდეგ ამ თარიღს რესპუბლიკის მშრომელები აღნიშნავენ როგორც პოლონეთის აღორძინების დღეს.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გიერეკმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობაზე თქვა: „ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საქმის სრული გამარჯვება მხოლოდ სახალხო პოლონეთის შექმნით გახდა შესაძლებელი. ეს გამარჯვება იყო საბოლოო და შეუქცევადი. იგი მოვიპოვეთ ბრძოლის ველზე და ხალხის გულში, მან გარდაქმნა პოლონეთი და პოლონელი ხალხი, ხელი შეუწყო ჩვენი ეროვნული არსებობის ძირითადი პრობლემების წარმატებით გადაჭრას, კიდევ ერთხელ ცხადყო ის ჭეშმარიტება, რომ პოლონეთის განთავისუფლების გზა საბჭოების ქვეყანასთან კლასობრივ და სახელმწიფოებრივ კავშირზე გადის“.

სახალხო პოლონეთის შექმნამ და, მაშასადამე, სოციალიზმის მშენებლობამ გარდაქმნა სახელმწიფო და საზოგადოება. ჩამორჩენილმა და ომით დანგრეულმა ქვეყანამ, რომელმაც ომის ფრონტებზე იქნესი მილიონი კაცი დაკარგა, მთელი ძალღონის დაძაბვით შესძლო გაჭირვებიდან და ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევა.

დღევანდელი პოლონეთი — ეს არის ქვეყანა, რომელსაც ანგარიშს უწევენ მთელს მსოფლიოში, ქვეყანა, ვიდრე წინა ხუთწლედში. ამის შედეგად სახალხო მეურნეობას ორ მილიონამდე სამუშაო ადგილი შეემატა.

გასული ხუთწლედი, როგორც ეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობაზე აღინიშნა 1975 წლის დეკემბერში, ყველაზე ნაყოფიერი იყო სახალხო პოლონეთის თითქმის ოცდაათი წლის ისტორიაში. რეალური ხელფასი ყოველწლიურად საშუალოდ 7 პროცენტით იზრდებოდა. ხელფასი მოემატა სახალხო მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებულ თერთმეტ მილიონზე მეტ კაცს. მშრომელთა შემოსავლები გაიზარდა აგრეთვე მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიების, სოციაზრუნველყოფის დახმარებათა ზრდის გზით.

1971-1975 წლებში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში აშენდა, 1125 ათასი ახალი საცხოვრებელი ბინა. პარტიის გადაწყვეტილებათა სოციალისტური მშენებლობის შემდგომი დინამიკური განვითარების პროგრამა. რესპუბლიკაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ეროვნული შემოსავალი ახლანდელ ხუთწლედში 40-42 პროცენტით გაიზარდოს. მასში მრეწველობის ხვედრითი წილი 62 პროცენტს შეადგენს. კაპიტალდაბანდებანი გადიდდება 37-40 პროცენტით. მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობასთან ერთად სერიოზული ყურადღება დაეთმობა არსებულ საწარმოთა მოდერნიზებას. მშრომელთა რეალური ხელფასი 16 პროცენტით გაიზრდება. აიგება ერთნახევარ მილიონზე მეტი ახალი საცხოვრებელი ბინა.

ასეთი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა, სოციალისტურ ქვეყნებთან და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის გარეშე. სსრ კავშირი აქტიურად მონაწილეობს, ამაში, ეჭვი არ ეპარება, ეჭვი ეპარება ... [illegible] ... ეკონომიკურ ... [illegible] ... ეკონომიკურ ... [illegible] ... ეკონომიკურ

ᲛᲝᲛᲮᲘᲖᲚᲐᲕᲘ, ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ

ᲐᲒᲑᲜᲔᲠᲘᲡ „ᲛᲦᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘᲡ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲤᲐᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ თეატრის სცენაზე ვიხილეთ „მფრინავი ჰოლანდიელი“ — რიჰარდ ვაგნერის მშვენიერი, სიჭაბუკისეული ქმნილება. საარბრიუკენისა და თბილისის თეატრების მეგობრობა, მშვიდობის საყოველთაო საქმეს რომ ემსახურება, კვლავაც გაგრძელდა.

წარსულში თბილისის საოპერო თეატრს სანაქებო „ვაგნერული ტრადიციაც“ ჰქონდა. სამი წლის წინ კვლავ დადგმულმა „ლოენგრინმა“ კი, რომელმაც ორი თეატრის ძალთა შეხვედრა მოხდა, მხურვალე საყოველთაო მოწონებისა და კეთილმოწყობა. კუდიანის მოვში, საზაფხულო იალაღებზე მეცხოველეებისათვის ფინური სახლი დადგეს. კეთდება ფერმასთან მისასვლელი გზები.

Ო. ᲛᲐᲚᲠᲐᲫᲔ.



ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ ᲐᲯᲐᲠᲘᲡᲬᲧᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ (ᲮᲣᲚᲝᲡ რაიონი).

Ა. ᲒᲐᲛᲘᲜᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲛᲘᲗ

□ ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲐ. განძის სასოფლო საბჭოს ბევრ სოფელში მაღაზიები წლების მანძილზე დაქირავებულ ბინებში იყო მოთავსებული, რაც დიდად აფერხებდა ნორმალურ ვაჭრობას.

და აი წელს ფოკასა და განძაში ახალი კეთილმოწყობილი მაღაზიები გაიხსნა.

Შ. ᲛᲔᲚᲮᲘ.

□ ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა მოლიერის კომედია „ძალად ექიმი“.

თეატრის კოლექტივი ახლახან ყვარლის რაიონის მშრომელებს ესტუმრა. პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

Გ. ᲔᲝᲑᲣᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

□ ᲐᲡᲐᲠᲜᲯᲐ. დღითიდღე იზრდება და ლამაზდება სოფელი ოშორა. ახლახან აქ დაიწყეს კლუბ-კინტორის მშენებლობა. მიმდინარეობს გზების შეკეთება და კეთილმოწყობა. კუდიანის მთებში, საზაფხულო იალაღებზე მეცხოველეებისათვის ფინური სახლი დადგეს. კეთდება ფერმასთან მისასვლელი გზები.

Ო. ᲛᲐᲚᲠᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲚᲘᲡ XXI ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲖᲔ

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ „ᲝᲥᲠᲝ“

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ᲙᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ. „სენ-მიშელის“ სარბილეის ფიეარნაჯზე საბჭოთა სპორტსმენმა, ქუმესუბუში ᲧᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲪᲔᲚᲛᲐ, ოლიმპიადის დებიუტანტმა 24 წლის ნიკოლოზ კოლესნიკოვმა („ტრუდი“, როსტოვი, მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. პლიუშეულდერი) ბულგარელ გიორგი ტოდოროვთან (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი) ორთაბრძოლაში, ორჭიდში 285 კილოგრამი აჩვენა, რამაც მას ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲚᲘᲡ მედალი მოუტანა. დამატებით ცდაში ჩემპიონმა 161,5 კილოგრამი აკრა, რაც მსოფლიოს ახალი რეკორდია. ბულგარელი შაანგისტი მეორე ადგილზე გამოვიდა — 280 კგ, მესამეზეა იაპონელი კაცუმასა ხირაი — 275 კგ.

ᲢᲐᲜᲒᲘᲐᲠᲘᲜᲘ. ვაჟთა გუნდურ ასპარეზობას, როგორც ცნობილია, სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ ლიდერობდა საბჭოთა ნაკრები, რომელიც ნახევარ ქულას უგებდა თავის მთავარ მეტოქეს — იაპონიის გუნდს. მაგრამ იაპონელებმა უკეთ შეასრულეს ნებისმიერი პროგრამა და არა თუ დაეწიენენ ლიდერს, არამედ გაუსწრეს კიდევ ოთხი მეათედი ქულით. მესამე ადგილზეა გდრ-ის ნაკრები.

ᲪᲣᲠᲕᲐ. ოლიმპიური პარკის აუზში გაიმართა კიდევ სამი ფინალური ასპარეზობა. 100 მეტრზე ბრასის სტილით წარმატებას მიაღწია 20 წლის კაუნასელმა სტუდენტმა არვიდას იუოზაიტისმა, რომელმაც საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მისი შედეგია 1 წუთი და 04,23 წამი, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია. პირველ და მეორე ადგილებზე გამოვიდნენ მსოფლიოს რეკორდსმენი ამერიკელი მოცურავე ჯონ ჰენკენი — 1.03,11 (მსოფლიოს ახალი რეკორდი) და ინგლისელი დევიდ უოლკი — 1.03,43. 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით გაიმარჯვა ამერიკელმა ბრაიან გუდელმა — 15.02.40 (მსოფლიოს ახალი რეკორდი). საბჭოთა სპორტსმენმა, 16 წლის ლენინგრადელმა ვლადიმერ სალნიკოვმა მეხუთე შედეგი აჩვენა — 15 წუთი და 29,45 წამი. ესეც ახალი საკავშირო რეკორდია.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲭᲘᲚᲐᲝᲑᲐ. ამ სახეობაში წინასწარი შესვლდრები მიმდინარეობს ოლიმპიური სოფლის მახლობლად — „მეზონიოვის“ ცენტრში გამართულ ოთხ მრგვალ ხალიჩაზე. წინა ოლიმპიადების ჩემპიონებმა საბჭოთა მოჭიდავეებმა მიუხედავად 4 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. პირველმა რონაბრძოლებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ფალავნები მზად არიან გაიმეორონ ეს წარმატება. საინტერესოა, რომ მოჭიდავეთა ტურნირის დაწყების წინა დღეს გაიმართა ჭიდაობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის (ფილა-ს) კონგრესი, რომელმაც რუსული ენა ფედერაციის ერთ-ერთ ოფიციალურ ენად დაამტკიცა, ხოლო ფილა-ს ბიუროს მოსკოვის 22-ე ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანა ჭიდაობის კიდევ ერთი სახეობა — სამბო.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲣᲗᲨᲔᲓᲘ. ტურნირის მესამე სახეობის (სროლის) შემდეგ კვლავ ლიდერობს საბჭოთა სპორტსმენი პავლე ლედნიოვი — 3.150 ქულა.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ოლიმპიურ ველოდრომზე გაიმართა ფინალური ასპარეზობა ჰიტში ადგილიდან 1000 მეტრზე. ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა კლაუს-იურგენ გრუმკემ (გდრ) — 1 წუთი და 05,927 წამი. მეორე ადგილზეა მიშელ ვარტენი (ბელგია) — 1.07,516, მესამეზე — ნილს ფრედბორგი (დანია) — 1.07,617.



ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲠᲗᲘ. ქალთა ტურნირზე „ეტიენ დემარტის“ ცენტრში საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 88:75, იაპონელებმა მოუგეს კანადელებს — 121:89, ამერიკელებმა — ბულგარელებს—95:79. ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა აშშ-ისა და პუერტო-რიკოს ვაჟთა გუნდების მატჩი. ამერიკელები პირველ წუთებადახვე აგებდნენ ბრძოლას, მაგრამ შედ ფინალური სასტვენის წინ ხელიდან გამოსტაცეს მეტოქეს გამარჯვება — 95:94.

ᲨᲐᲮᲩᲘᲜᲑᲣᲠᲗᲘ. გამარჯვებები მოიპოვეს ჩვენმა გუნდებმა ფრენბურთელთა ტურნირზეც: ვაჟებმა ანგარიშით 3:0 სძლიეს ბრაზილიელებს, ხოლო ქალებმა — სამხრეთკორეელებს — 3:1.

ᲧᲐᲚᲐᲯᲣᲠᲗᲘ. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა საბჭოთა ნაკრებმა წინასწარი ტურნირის უკანასკნელ მატჩში სძლია მექსიკელებს — 7:4, იგი ფინალურ ექვსეულის მიღმა დარჩა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲠᲗᲘ. გაიმართა კიდევ ოთხი შეხვედრა: ბრაზილიელებმა მოუგეს ესპანელებს — 2:1, ირანელებმა — კუბელებს — 1:0, ფრანგებმა — მექსიკელებს — 4:1, გვატემალისა და ისრაელის მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲡᲐᲛᲘ დღის ასპარეზობის შემდეგ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ: გდრ-ი — 61 ქულა (მედლები — 4 ოქროს, 3 ვერცხლის, 3 ბრინჯაოსი), აშშ-ი — 59 ქულა (მედლები — 3 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოსი), სსრ კავშირი — 31 ქულა (მედლები — 3 ოქროს, 1 ბრინჯაოსი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ოლიმპიური მონრეალი. საბჭოთა ძალოსანი ნიკოლოზ კოლესნიკოვი, რომელმაც ქვემსუბუქ წონაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

ᲡᲐᲯᲔᲡᲘᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: სპექტაკლ „მფრინავი ჰოლანდიელის“ ერთ-ერთი სცენა.

ᲕᲚ. ᲕᲘᲜᲬᲮᲕᲠᲘᲡ ფოტო.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲕᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲗᲐᲠ...

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ შემდეგ გამოირკვა, ვალერიანი სიტყვებს ფუჭად არ ხარჯავდა.

ვალერიანი არად დაგიდევდათ ისეთ უმაქნის, მისი აზრით, ცნებებს, როგორიცაა სინდისი, წესიერება, კეთილშობილება, ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყოველივე ამას, როცა საქმე ეხება უახლოესი ნათესავის კარიერას, მთელი ოჯახის კეთილდღეობას!..

ვალერიანმა აწონ-დაწონა დასახული მიზნის მისაღწევი ყველა შესაძლო საშუალება და არჩევანი შეაჩერა ერთზე — ყველაზე საზიზღარ, ყველაზე მზაკვრულ, მაგრამ სამაგიეროდ, ვალერიანის აზრით, ყველაზე ეფექტიან საშუალებაზე. ამ ძველ საშუალებას ცილისწამება ჰქვია. ფიქრობდა, რაიონის ხელმძღვანელებს ისეთ ამბებს დაეწამებ, რომ მათი ავტორიტეტისაგან კვალიც კი არ დარჩესო.

დაფიქრდა, კონკრეტულად რა დაეწამებინა თავისი მტრებისათვის? მკვლელობა? მექრთამეობა?!.

თუ ცილისწამებაა, ცილისწამება იყოსო — მკვლელობა არა ერთისა, არამედ ერთბაშად ორისა! მექრთამეობა, თანაც, ასე ვთქვათ, დუბლირებული. ვიტყვი, ზოგს აძლევდნენ, ზოგს კი ართმევდნენ-მეთქი ქრთამებს...

კიდევ რა ცილი შეიძლება დავწამო? გაუთავებელი ღრეობები? დამნაშავენი, მისი აზრით, იყვნენ პარტიის რაიკომის ახლადარჩეული პირველი მდივანი და კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი. სწორედ მათ ეშურებოდა ვალერიან ღიბრაძე.

— განანებთ, თუ კაცი ვარ, — გამეხებელი ბდღვინავდა ვალერიანი, — თავში ქვის საცემად გაგიხდით საქმეს, თავბედს გაწყვალინებთ! ეს როგორ იკადრეთ — გააუბედურეთ ჩვენი ოჯახი, პოსტი დაკარგვინეთ ასეთ კაცს...

ახლა ძნელი სათქმელია, მიეიდა თუ არა ვალერიან ღიბრაძის მუქარა იმათ ყურამდე, ვისაც ეკუთვნოდა. ეს მუქარა, რა თქმა უნდა, არ გამოთქმულა საერთო კრებაზე, საქვეყნოდ, საჯაროდ. ეს მრისხანე სიტყვები მხოლოდ ციწრო ოჯახურ წრეში ითქვა...

და მაინც მუქარას არაფერით არ ეთქმოდა ლიტონი სიტყვები. როგორც რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, ვალერიანი სიტყვებს ფუჭად არ ხარჯავდა.

ვალერიანი ამბავ დაგდებულდათ ისეთ უმაქნის, მისი აზრით, ცნებებს, როგორიცაა სინდისი, წესიერება, კეთილშობილება, ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყოველივე ამას, როცა საქმე ეხება უახლოესი ნათესავის კარიერას, მთელი ოჯახის კეთილდღეობას!..

ვალერიანმა აწონ-დაწონა დასახული მიზნის მისაღწევი ყველა შესაძლო საშუალება და არჩევანი შეაჩერა ერთზე — ყველაზე საზიზღარ, ყველაზე მზაკვრულ, მაგრამ სამაგიეროდ, ვალერიანის აზრით, ყველაზე ეფექტიან საშუალებაზე. ამ ძველ საშუალებას ცილისწამება ჰქვია. ფიქრობდა, რაიონის ხელმძღვანელებს ისეთ ამბებს დაეწამებ, რომ მათი ავტორიტეტისაგან კვალიც კი არ დარჩესო.

— ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ! — ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ!

აქვე უნდა ითქვას, რომ თვით მაღალი თანამდებობის ექსკანდიდატი, ამ ფაცი-ფუცში არ ერეოდა. ყოველ შემთხვევაში, პრეტენზიები თუ წყენა ხმამაღლა არ გამოუთქვამს. მისი უახლოესი ნათესავები კი ცოტა არ იყოს შეშინდნენ კიდეც:

— რას უნდა ნიშნავდეს ეს? ცუდი ნიშანია! დღეს ჩვენი უახლოესი ნათესავი არ აირჩიეს თანამდებობაზე, რომელიც ხელს გვაძლევს ყველა ახლობელ-ნათესავს. ხვალ კი? ხვალ, ვინ იცის, ახლანდელი პოსტიც დაატოვებინონ. მაშინ რა მოხდება? დააქვეითებენ? მას შესაძლოა არ აწუხებს ეს, ჩვენ კი?..

ნათესავები არ შემცდარან. გაიდა ცოტა ხანი, და ის, ვინც ასე ახლობელი იყო მათთვის და ვისი დაწინაურებაც ასე ეწადათ, საერთოდ გაათავისუფლეს ნომენკლატურული თანამდებობიდან. რა თქმა უნდა, ამ საკითხის გადაწყვეტისას ნათესავებისათვის არავის უკითხავს, თქვენ რა აზრისა ბრძანდებითო.

მაგრამ ნათესავები ფიქრობდნენ, რომ ამ ისტორიაში უკანასკნელი, გადამწყვეტი სიტყვა მათ ეკუთვნოდათ.

ამ ამბავმა განსაკუთრებით გაახელა ყოფილი ნომენკლატურული ამხანაგის უახლოესი ნათესავი ვალერიან ღიბრაძე. თუმცა თვითონ ვალერიანს მაღალი თანამდებობანაირი